საქართველოს მთავრობის

დადგენილება №295

2021 წლის 22 ივნისი

ქ. თბილისი

„პირბადის ტარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №368 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შეტანილ იქნეს ცვლილება „პირბადის ტარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №368 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 15/06/2020, 470230000.10.003.022082) და დადგენილებით დამტკიცებული „პირბადის ტარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა[1]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა[1]) საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე, ბაზრებსა და ბაზრობებზე;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2021 წლის 22 ივნისიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**